# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 1.. კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ოთხშაბათი, 10 სეკტემ.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქ-ჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 149 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 წ. № 149


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი მ ე რ ე თ ი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანათი. |
| ერთი თვით | . . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მან. ნახევარი წლით—8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.


## სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში.

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.**

დამზადებულია დიდძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებს, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს დაეთმობათ საუკეთესო პირობებში. წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს სახელდობრ პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისაგან და ამიტომ ყოველგვარ სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება.

**ქ ლ ი ე რ ი ა ფ ა თ**

აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.



## დაიბეჭდა და იყიდება

**ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში.**

1. დასურათებული არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთაისის სააზნ. შკოლის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ. ფასი 7 შაური.
2. „ცხოვრება და მეცნიერება“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრებული, შედგ. ქართ. სტუდენტთა და ახალგაზდა მეცნიერთა მიერ ფ. 1 მ.
3. „ეროვნული შემოქმედება“. სახალხო ლექციები ალ. ჯ—ძისა ფ. 2 აბაზი

**იბეჭდება და მალე გამოვა**

ახალი რუსული პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, მრავლათ დასურათებული, შედგ. ქართ. სააზნ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ და გ. იოსელიანის მიერ. ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხვის ტყაოსანი“.



ქ უ თ ა ი ს შ ი.

## თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნისა და საკანცელარიო ნივთების

**მ ა ღ ა ზ ი ა**

**აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მომავალი წლისათვის**

მას დამზადებული აქვს დიდძალი **სახელმძღვანელო** ქუთაისის გუბერნიის საშვალო და დასაწყისს სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთისა და კავკასიაში გამოცემული. აქვე იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები, რვეულები, საუკეთესო ღირსების ქაღალდისა (თ. დ. პასკევიჩის ფაბრიკისა), კარანდაშები, კალმები, კალმის ტარები, სხვადასხვა ღირსების ფოსტისა და საწერი ქაღალდი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთები.

ბითუმად მყიდველს ფასი დაეთმობა მორიგებით.


## ვაცხადებ

ჩემ თხზულებებზე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მეორე წიგნის ბეჭდვა უნდა დამეწყო ამ ზაფხულს მაგრამ, რადგანაც ამ ჟამათ წანასწარი **სამხედრო ცენზურა დაწესდა, წიგნის ბეჭდვა დროებით შევაჩერე.**

საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისას ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილებთ.

აქვე ვაცხადებ, რომ ბ-ნი აპ. ცინცაძე აღარ ითვლება ჩემ თხზულებათა გამომცემლათ. მას ყოველივე ანგარიში ჩამოერთვა და პირდაპირი პასუხის მგებელი მე გახლავართ.

ი ა ე კ ა ლ ა ძ ე.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ამა ათას ცხრაას თოთხმეტ წლის ენკენისთვიდან გაიხსნება ქალთა

# სახელოსნო

ჭრა-კერვის სამკლასიანი სასწავლებელი,

რომელიც ქუთაისის საზოგადოებამ უკვე იცის.

მსურველთაგან თხოვნების მიღება შეიძლება დილის ათ საათიდან ნაშუადღევის 2-მდი სკოლის გამგის **ოლღა ლუკას ასულის ქორქაშვილის** სახელზე. სწავლის ფასი: 1 კლასში—20 მ-2 კლასში—25 და მესამე კლასში 30 მან.

**მისამართი: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი.**



## ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის სამთო ტექნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ კლასში მოხდება 15 სექტემბერს, მიიღებენ ისეთებს, რომელთაც სამოქალაქო სასწავლებელი აქვთ გათავებული, ან სხვა მისი თანასწორი პროგრამის შკოლა. გამოცდა იქნება რუსულ ენაში, გეომეტრიასა და არითმეტიკაში. თხოვნები და საბუთები მიიღება სასწავლებლის ინსპეკტორის სახელზე 14 სექტემბრამდი. 5—4



ექიმი ივ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, ... პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.



ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი პირველი

## საბუჰგალტრო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისთვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას. ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას- არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744-



**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი ბავშვებისა და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 სათამდი თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავათმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმი** **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინიაზე.

**ექიმი** **ს. ი. ბეგოვი** იღებს ავათმყოფებს დილის 8—12 ს. საღამოს 5—8 ს. კათოლიკების ქუჩა, საკუთარი სახლი ტელეფონი № 121 თ.

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის** **გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. სალ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის **ექიმი** **ს. ა. ცეიტლინი.** კბილის და პირის ავათმყოფობა

**ხელოვნური კბილების გაკეთება.**

მიიღებს ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა, სახაზინო პალატის გვერდით. ტელეფონი 153.



**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიშევგოვის სახლში.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატდოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 სა თამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

**ღ ა რ ი ბ ე ბ ს უ ფ ა ს ო თ**

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.







## ხმოსნების არჩევნების გამო.

მოახლოვდა ხმოსნების არჩევნები. ერთი დღით შეინძრევა ქუთაისის მოდუნებული ცხოვრების ტბორე. დაფათურდებიან კენჭოსანთა მეთაურები, წამოყოფს თავს პირადი ანგარიშები, „ნათლიმამობა, შენიან-ჩემიანობა და სხ. ყველას მხოლოდ თავისი „მე“ გაახსენდება, თუმცა საქმე, რომლის გარშემოც სწარმოებს ბრძოლა, საზოგადოა. მაგონდება აკაკის ლექსები კენჭობიის შესახებ.

ამბობენ, კენჭოსნები ინტელიგენციის დაპალურებას აპირობენო. თუ მართალია ეს, ერთხელ კიდევ დამტკიცდება ჩვენი მოქალაქობრივი უმწიფრობა.

და მივმართავ თითოეულს, ვისაც კი ბოროტად უნდა მოიხმაროს თავისი კენჭი, მომცეს პასუხი: რისთვის ღალატობს საზოგადო საქმეს? რატომ უნდა გაირიყოს ინტელიგენცია, ე. ი. საზოგადოების განათლებული ნაწილი, რომელსაც მხოლოდ შეუძლია გაუძღვეს თვითმართველობის რთულ საქმეებს?

პირიქით, კენჭოსნები ზნეობრივად მოვალენი არიან მოიხმარონ ინტელიგენტური ძალები თუ უნდათ, ეღირსოს ოდესმე ქუთაისს ან წყალსადენი ან ტრამვაი ან რიგიანი სკოლები ან კრედიტი ან სხვა რამე მნიშვნელოვანი ეკონომიურ-კულტურული დაწესებულება. თვარა ქალაქის თავი, რაც უნდა შრომის მოყვარე და ნიჭიერი იყოს, ვერაფერს ვერ გააკეთებს, თუ ხმოსნები მას მხარში არ ამოუდგებიან და არ დაეხმარებიან. ასე გაშინჯეთ, კომისიების შედგენაც კი შეუძლებელი იქნება. დიაღ! მხოლოდ შეერთებული ძალების მუშაობა იქნება ნაყოფიერი. ასე ყოფილა ყოველთვის.

ამიტომ, მივმართავ კენჭოსნებს: დაუმორჩილონ პირადი სარგებლობა საზოგადო ინტერესებს და აირჩიონ ხმოსნებად, რაც შეიძლება, მეტი განათლებული პირი! აასრულონ თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ომი.

დეპეშები პეტროგრადის სააგენტოსაგან.

## სერბიელების გამარჯვება.

**ნიში.** 5 ეკენისთვე. სერბიელებმა ვიშეგრადში, სემეჩის აღების შემდეგ, განაგრძეს უკან დევნა მტრისა და მიუახლოვდენ როგატიცას. ჯარი, რომელიც ბაინიბაშტიდან გამოვიდა, შეუჩერებლივ წინ მიიწევს ბოსნიაში ლიუბოვიას, ზვერნიკისა და ლოზნიცის ფორტებისკენ. გამარჯვების შემდეგ, სერბიელებმა მტერს შეუტიეს და ყველა ფრონტზე უკან დაახევიეს. სერბიელების გამარჯვება იმდენათ მნიშვნელოვანია, რამდენათაც მტერს ძლიერი ჯარი ყავდა. ლოზნიცისა და რაჩას ფრონტებზე ბრძოლის დროს მტერმა მოიწადინა მდ. დრინაზე გადასვლა, მაგრამ ვერ მოახერხა. ასევე უშედეგოთ ჩაიარა მდ. სავაზე მტრის გადასვლის ცდამ. მიტროკიცისა და შაბაცის ფრონტებზე, მტერმა დაიხია რა ვიშეგრადისკენ, დაუტოვა სერბიელებს ხელუხლებელი მალეზინები. სერბიელებმა ამ ბრძოლის დროს ხელში ჩაიგდეს 2000 კილოგრამი ფქვილი, 30,000 ყუთი კონსერვი, 3,000 კილ. მარილი, 2,000 საბანი, ბევრი ძველი მუნდირი, 5,000 კრავოტი გოსპიტლისა და 40 ვაგონი. ინგლისის სამხედრო აგენტი პოდპოლკოვნიკი პლეკელი 4 ეკენისთვეს, როდესაც იგი ბრძოლის ველს ათვალიერებდა ლოზნიცის ფრონტზე სუბუქათ დაიჭრა პირისახესა და ფეხში. სერბიელები, რომელნიც ბაინიბაშტიდან მტრის ტერიტორიაზე გადავიდენ, ამტკიცებენ, რომ 13 აგვისტოს სოფელ ოსმაცას ახლო ავსტრიელებმა წინ გაირეკეს სერბიელი ქალები და ბავშები და ატარებიეს დენ რანცებს.

## როგაშიცის დაჭერა ჩერნოგორიელებისაგან.

**ცეტინიე.** 5 ეკენისთვე. ჩერნოგორელების ჯარმა, რომელიც მოქმედებდა სვიჯაკეში, სიმაგრე ფოჩის დაჭერის შემდეგ, 3 ეკენისთვეს გორდკას ჩრდილოეთით ხელში ჩაიგდეს იაბუკის გამაგრებული ლაგერი და 4 ეკენისთვეს როგაშიცაში შევიდენ. ჩერნოგორიის ჯარის სულიერი განწყობილება ჩინებულია. ავსტრიელების ჯარი სრულებით დაუძლურდა, შეიპყრო შიშმა და ჩერნოგორელების წინ გარბის.

## ტრანსპორტები.

**ცეტინიე.** 6 ეკენისთვე. ანტივარიდან 5 საფრანგეთის ტრანსპორტი მოვიდა. მას თან მოყვენ საფრანგეთის მინისტრები.

## საზოგადოების დახურვა.

**ლონდონი.** 6 ეკენ. ინგლის-გერმანიის კავშირის საზოგადოება დაიხურა.

## ელჩი.

**კოპენჰაგენი.** 6 ეკენ. ბერლინიდან ცნობაა, ბუქარესტში მყოფი გერმანიის ელჩი ბერლინს წავიდაო.

## გერმანელები ფრანგთა აფიცრების ფორმაში.

**ლონდონი.** 6 ეკენისთ. „დეილიმეის" დეპეშით დიეპიდან აცნობებენ, რომ რამდენიმე გერმანელი, ფრანგთა აფიცრების ფორმაში გამოწყობილი, დააპატიმრეს სწორეთ იმ დროს, როდესაც რკინის გზის ხიდი უნდა აეფეთქებიათ რუსანის მახლობლათ.

## დეპრატინის დაჭერა.

**ცეტინიე.** 6 ეკენისთვე. ჩერნოგორელების ჯარმა, რომელიც გამარჯვებით ბოსნიის შუაგულში მიიწევდა, დიდი და მედგარი ბრძოლის შემდეგ სარაევოს მახლობლათ ქალ. დეპრატინი დაიჭირეს. ავსტრიელებმა სარაევოსკენ დაიხიეს. ჩერნოგორელების მოწინავე ჯარი ბოსნიის სატახტო ქალაქს 15 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა.

## ოფიციალური ცნობა.

**პარიზი.** 6 ეკენისთვეს, საღამოთი გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა გვაუწყებს, რომ საფრანგეთის ჯარის მარცხენა ფრთამ გერმანელებს დროშა წაართვაო. მედგარ ბრძოლის შემდეგ კარნოსთან მეთორმეტე და 15-ე კორპუსების ჯარიდან ბევრი ტყვე ჩაიგდეს ხელში. გერმანელები თავგანწირვით იბრძოდენ და სურდათ რეიმსის ფრონტი დაეჭირათ, მაგრამ ვერას გახდენ. მთელი დღის განმავლობაში რეიმსის საკრებულო ტაძარს ზარბაზნებს უშენდენ, საზოგადო მდგომარეობა უცვლელია. ფრანგების ცენტრმა წინ წაიწია. მარცხენა ფრთაზე ახალი არა მომხდარა-რა.

## ჯარის გადასხმა.

**ტოკიო.** 6 ეკენისთვე. ლიოჩანჯივანში, ცინდაოს მოშორებით 25 მილზე, იაპონელებმა ახალი ჯარი გადმოსხეს.

## სამი დღის სიჩუმის შემდეგ.

**ბელგრადი.** 7 ეკენისთვე. სამი დღის სიჩუმის შემდეგ მტრის დუნაის მონიტორებმა გუშინ ღამით კვლავ განაახლეს ბელგრადზე დაცემა და ამავე დროს ცდილობდენ სავაზე გასვლას შაბაცამდი. მონიტორებს ეხმარებოდა მტრის ჯარის სხვა ნაწილიც. ჩვენმა არტილერიამ მონიტორები მდ. სავის პირამდი განდევნა, რომლის შემდეგაც ისინი საჩქაროდ დუნაისკენ გაემართენ. მტერმა მდინარეზე გასვლა ვერ მოახერხა და დიდი ზარალიც ნახა.

## იაპონელების იერიში.

**ტოკიო.** 7 ეკენისთვე. იაპონელების ჯარმა, რომელიც ლაოჩანვანეში გადავიდა, იერიში მიიტანა გერმანელების მიერ ვანგოჩჯუანის გამაგრებულ პოზიციაზე გერმანელებმა საჩქაროთ უკან დაიხიეს

## ოფიციალური ცნობა.

**პეტროგრადი.** 7 ეკენისთვე. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. ბარანოვისა და რანიშოვის რაიონებში ავსტრიელების მოწინავე ჯარი, რომელიც ცდილობდა შეეჩერებია ჩვენი შეტევა, უკუქცეულ იქნა დიდი ზარალით. მტრის მძიმე არტილერია იაროსლავის სიმაგრეებს ზარბაზნებს უშენს, დაიწყო საომარი მოქმედება პერემილეს გარნიზონთან, ციხის არტილერიამ სროლა ასტეხა. ტყეებში, ჯარის გავლის დროს შევამჩნიეთ ავსტრიელების დატოვებული ბატარეია.

## შუამდგომლობა.

**პეტროგრადი.** 4 ეკენისთვე. უავგუსტოესმა და უმაღლესმა მთავარ-სარდალმა შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო ერთ გადაყენებულ აფიცრისაგან, რომლის ძმაც 21 აგვისტოს სუხადოლეში ბრძოლის დროს მოკლეს.

მოხსენებული აფიცერი აცნობებს მთავარსარდალს, რომ ცოლი მოკლულისა ჰკუაზე შეიშალა, მოხუცი მამა გენერალი ავათ გახდა ჯავრით, და მე, ძმა მოკლულისა, პოდპორუჩიკი საინჟინერო ჯარისა, გადაყენებული ვარ, როგორც უფროსი წარმომადგენელი ოჯახისა, გევედრებით, მოიღეთ მოწყალება და მიმიღეთ აფიცრათ მომქმედ ჯარში, მეფისა და სარწმუნოების დასაცავათ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება გაამხნევებს მთელს ოჯახს. მთხოვნელი დაიმედებულია, რომ მას მიეცემა საშუალება გასწიოს მოკლული ძმის მაგიერობა მოქმედ ჯარში. უმაღლესმა მთავარსარდალმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

## უარყოფა.

**პეტროგრადი.** 7 ეკენისთვე. „პრესბიურო" გადაჭრით უარყოფს ვენიდან გავრცელებულ ხმებს, ვითომც სერბიელები ზემლინადან განდევნილ იყვნენ და რომ მათ წაართვეს 6000 ტყვე და რამდენიმე ზარბაზანი. საქმის ნამდვილი გარემოება კი სხვანაირათ იყო. სერბები ზემლინადან სტრატეგიული მოსაზრებით გავიდენ სერბიელების გენერალური შტაბის ბრძანებით. სერბიელების წასვლა სრული წესრიგით მოხდა. ავსტრიელები ზემლინაში შევიდენ ორი დღის შემდეგ, როცა სერბიელებმა იგი დასტოვეს.

## მრეწველობის გაფართოება.

**ლონდონი.** 7 ეკენისთვე. კანადიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ომმა და გერმანელების კონკურენციის მოსპობამ კანადაში მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით ბამბეულობისა და მატყლეულობისას ხელი შეუწყოო. იამაკის კუნძულმა მთავრობას შესწირა 50000 გირვანქა შაქარი.

## გერმანიის ელჩის განცხადება.

**ლონდონი.** 6 ეკენისთვე. რეიტერიის სააგენტოს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: გერმანიის ელჩმა განაცხადაო, რომ გერმანია მზათაა ზავის ჩამოგდებისა, მხოლოდ იმ პირობით, თუ გერმანიის მთლიანობა დაცული იქნებაო. ავსტრალიიდან დეპეშით იუწყებიან, რომ წყალქვეშ მავალი გემი აე 1 უკვალოთ დაიკარგაო.

## ლოიდ ჯორჯის განმარტება.

**ლონდონი.** 7 ეკენისთვე. ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა კვინს და გოლლეში, დაასურათა რუსეთის როლი. იგი ამბობს, რუსეთი შეიარაღდა თავისი უმცროსი ძმის უმწეო სერბიის დასაცავათ. სერბია მზათ იყო მიეღო ავსტრიისაგან წაყენებული ისეთი პირობები, რომელიც დამოუკიდებელი ერის ღირსებას შეეფერებოდა, მაგრამ ავსტრიამ ეს არ ინება და გამოუცხადა მას ომი. ავსტრიის ამ მოქმედებამ აიძულა რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც თავის ხალხის სისხლით მუდამ დაუფარავთ სხვა ერები მოსპობისაგან, ჩარეულიყვნენ ომში, სერბიელების დასაცავათ. აბა მიჩვენეთ ის მხარე, რომლისთვისაც პრუსიასა და გერმანიას თუნდ ერთი კაცი შეეწიროს? გერმანიას მხოლოდ სურს სხვისი განადგურება, მოსპობა, მაგრამ მოკავშირენი შესძლებენ ლაგამი ამოსდვან მის სურვილებს და გადაარჩინონ უმწეო ხალხი დამონებისაგან.

## რუს-ქვეშევრდომთა გაგზავნა.

**კოპენჰაგენი.** 6 ეკენისთვე. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ოთხ ეკენისთვეს დაიწყო რუს ქვეშევრდომთა გაგზავნა, რომელიც შეჩერებული იყო რამდენიმე ხნის განმავლობაში, ჯარის გადაყვანის გამო. ხმებია, გერმანიაში კიდევ 100,000 რუსი ქვეშევრდომიაო.

## ცეცხლის გაჩენა.

**ბორდო.** 7 ეკენისთვე. რამდენიმე დღის უკან არტილერიის მიერ ზარბაზნების დაშენისაგან რეიმსის საკრებულო ტაძარს ცეცხლი გაუჩნდა.

**ნიში.** ცნობა, ვითომც ბეზთმოვნის მონასტერს სამხედრო მართველებმა ორი მილიონის კონტრიბუცია დაადევსო, ტყუილი გამოდგა. „პრესბიუროს" მინდობილი აქვს გადაჭრით უარყოს, როგორც ეს ცნობა, ისე ყველა ამგვარი ცნობა, ვინაიდან არც ძველი და არც ახალი სერბიის მთავრობას არ დაუდვია არავითარი კონტრიბუცია.

## ბექსტონის მოხსენება.

**სოფია.** 6 ეკენისთვე. ბალკანეთის კომიტეტის თავჯდომარემ ნოელ ბექსტონმა პოლიტიკური მოხსენება წარადგინა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა ინგლისელების თანაგრძნობა ბალკანეთის ერი სადმი, რომლის ხანგრძლივ წვალებასაც არა ერთხელ მიუქცევია ინგლისის ყურადღება. ორატორმა განაცხადა, რომ სოფიაში მოვიდა ინგლისის თვალსაჩინო წარჩინებულთა თხოვნით, რათა გაეგო ბალკანეთის კუნძულზე საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ბულგარეთის განზრახვაზე განაცხადა: ინგლისელებს სურთ მარტო, რომ თითოეულმა ბალკანეთზე მცხოვრებმა ხალხმა მოიპოვოს ბუნებრივი განვითარების პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ნახევარი კუნძულის სახელმწიფოებს იცხოვრონ მშვიდობიანათ და შეკავშირდენ შრომის პრინციპების სახელით საზოგადო სარგებლობისათვის. ბულგარეთი, რომელსაც აქვს ეროვნული კანონიერი მისწრაფებანი უნდა მოიქცეს თავის უფლებების მიხედვით და მიიღებს სარგებლობას იმ შემთხვევაში, თუ იგი ინგლისის მოკავშირეთ გახდება. მოხსენების დროს დაესწრნენ ბევრი ყოფილი მინისტრი, პარტიის ლიდერები და თვალსაჩინო წარმომადგენლები ბულგარეთის პოლიტიკური წრისა.

## ზავის პირობების გარკვევა.

„ტაიმსი" არკვევს რა გერმანიისაგან წამოყენებულ ზავის პირობებს, რომელიც დაბეჭდილი იყო ნიუიორკის გაზეთებში, ამბობს, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს არ შეკრან ზავი გერმანიასთან, ვიდრე მისი მილიტარიზმი, გამომწვევი მიზეზები და შედეგები სამუდამოთ არ იქნება მოსპობილი, რომ კვლავ კიდევ არ დაირღვეს ევროპის მშვიდობიანობა.

## მანიფესტაცია რომში.

**რომი.** 8 ეკენისთვე. საღამოთი ხალხის ბრბომ ბელგიის საელჩოს წინაშე მანიფესტაცია გამართა. ელჩმა დელეგაცია მიიღო და თანაგრძნობისათვის მადლობა გამოუცხადა, ხოლო იტალიის ნეიტრალიტეტის პატივსაცემათ უარი უთხრა ეროვნული დროშის აღმართვაზე. შემდეგ გამოვიდა ბალკონზე და მანიფესტანტებს მადლობა გადაუხადა. ასეთივე მანიფესტაცია გამართეს რუსეთისა და ჩერნოგორიის საელჩოების წინაშე.

**კოპენჰაგენი.** 7 სეკტემბერი. ქუჩებსა და რესტორანებში განსაკუთრებული დამოგებელნი ყიდიან გერმანულ გაზეთებს. აქაურ ვაჭრებს ყოველდღე მოსდის ცნობები გერმანიის სავაჭროს საბჭოს შესახებ. ვენიდან იტყობინებიან, რომ დაარსებულია სამხედრო სესხის კასა, რათა შეამსუბუქოს ეკონომიური მოღვაწეობის გაგრძელება, 50 მილიონი დახმარება აღმოუჩინა უპროცენტო მოწმობებით ხაზინამ. ვენგრიაში ამავე მიზნით დაარსებულია სამხედრო დამხმარე ბანკი 290 მილიონიან ფონდით. სამხრეთ-სლოვიანების კორესპონდენტთა ბიურო, რომელიც პარიზში იმყოფებოდა, გადაიტანეს ბუქარესტში, რათა ზეგავლენა იქონიოს რუმინიის საზოგადოებრივ აზრზე.

## დ ა ნ ი ა.

**ბორდო.** „ტანი" სწერს: ზღვაში პატარა ბელტთან დანიამ რომ ნაღმები ჩააწყო—ეს კანონიერი ზომებია სიფრთხილის დასაცავად. ასეთი ზომების მიღება ნეიტრალიტეტის დაცვაა. ნეიტრალიტეტის დაცვა კი მოითხოვდა დანიელების სრუტეში მებრძოლ მხარეთა ესკადრის გატარება აეკრძალა. თუ საითკენაა დანიის თანაგრძნობა, ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს და დანია არ მოინდომებს ამ ზომების სისრულეში მოყვანას და კოპენჰაგენის მთავრობა არ გაუწევს წინააღმდეგობას მას, ვინც მისი პილოტების დაუხმარებლათ სცდის ბელტში გავლას.

## ბრძოლის ველზე.

**პარიზი.** უაზის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა რამდენიმეთ წინ წაიწიეს. გერმანელების ცდა რომ შეჭრილიყვენ ფრანგთა ფრონტში—უშედეგოთ დასრულდა. გერმანელებმა რეიმსის მახლობლათ ბრიმონის სიმაღლე უკანვე დაიბრუნეს. ფრანგებმა მასივი და პომპელი დაიკავეს. რეიმსა და არგონს შუა ფრანგებმა სოფელი სუნი დაიკავეს და ხელთ იგდეს 1000 გერმანელი ტყვე. ლოტარინგიაში მტერმა უკან დაიხია და გასწმინდა არვიკურის ოლქი. ვოგეზში ფრანგებმა მტრის თავდასხმა მოიგერია და ნელა წინ მიიწევს სანის მიდამოებისაკენ. ცუდი ამინდისა და დაბრკოლების გამო, საქსონიის ჯარი სხვადასხვა ჯარს შეუერთდა. მისი გენერალი ფონგაუზენი ყოფილი სამხედრო მინისტრი ჭკუიდან შეიშალა.

## როგორ უნდა გაიგზავნოს მომქმედ ჯარში წერილი.

**პეტროგრადი.** გენერალურ შტაბის უმთავრეს სამართველოსაგან: უკანასკნელ ხანებში შტაბის უფროსმა— ჯარის მთავარსარდალმა მიიღო რამდენიმე განცხადება შესახებ იმისა, რომ წერილები გაგზავნილი მომქმედ ჯარში ხშირათ არ მიდის, და თუ მიდის, ძალიან დაგვიანებით. ასეთი განცხადება უმეტეს შემთხვევაში ხელმოუწერელი მოდის და განცხადებასთან ერთად არ მოგვდის ისეთი ცნობები, რომ გამოვიძიოთ ეს საქმე და მივიღოთ შესაფერი ზომები. ბევრი დაწესებულებისა და ბევრი პირის მიმართ, რომლებიც მომქმედ ჯარში საფოსტო საქმეზე მსახურებენ, საერთო ზომების მიღება მიზანს ვერ აღწევს და ამ საქმეში დამნაშავეთ სწრაფათ ვერ აღმოაჩენს. ჯარის მთავარსარდლის შტაბი მიმართავს დაწესებულებათა და პირთ, რომლებსაც აქვთ რწმენა, რომ მათი კორესპონდენცია მომქმედ ჯარში არ მიდის და ან მიდის დაგვიანებით გამოგზავნოს თავისი განცხადება უმაღლეს მთავარსარდლის სამხედრო ცნობათა სამართველოს სახელზე და აღნიშნოს წერილი ვის სახელზე გაიგზავნა, როდის გაიგზავნა და რომელ ფოშტიდან და, თუ სურთ პასუხის მიღება, თავისი მისამართიც კი ამასთან ერთად უნდა აღნიშნოს. საველე საფოშტო კანტორების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ბევრი წერილი მოგროვილი იყო. ჯარისკაცებზე გადაუცემელი წერილები ათასობითაა, აფიცრებზე კი ასობით. წერილების გადაუცემლობის მიზეზია, რომ კონვერტზე მხოლოდ მომქმედი ჯარი სწერია, ხოლო ის კი არაა აღნიშნული ვის გადაეცეს და ან ჯარის რომელ ნაწილში. კონვერტზე უნდა იყვეს დაწერილი, რომ წერილი იგზავნება მომქმედ ჯარში და ვისაც ეგზავნება წერილი, ჯარის რომელ ნაწილში მსახურებს, რომელ დაწესებულებაში მსახურებს; რა სამსახური უჭირავს და სახელი და გვარი იმისა, ვისაც წერილი უნდა მიუვიდეს. შტაბს რომ მუშაობა არ გაუძნელდეს, ადრესი უნდა დაიწეროს გარკვევითა და სწორათ.

## ტახტის მემკვიდრის დაჭრა.

**ნიში.** მტრის თავდასხმის დროს ტახტის მემკვიდრე გიორგი, რომელიც ხელმძღვანელობდა თავის ბატალიონს, დაიჭრა. ტყვია მოხვდა ხერხემალში და მარჯვენა ბეჭთან გავიდა. ჭრილობა დიდათ შემაწუხებელი არაა.

## გემის დაკავება.

**პეტროგრადი.** მოსული ცნობით, ინგლისელებმა დააკავეს გერმანიის გემი „ბეტანია", რომელიც დრეზდენში და კარლსრუეში გერმანიის კრეისერებს სურსათით ტვირთავდა. გემში ნახეს ექვსი თვის საკმაო საჭმელი სურსათი.

## გემის დაძირვა.

**კოპენჰაგენი.** ბუდაპეშტიდან იტყობინებიან: ადრიატიის კომპანიის გემი „ბატორი" ვიგის მახლობლათ ინგლისელებმა წყალში დაძირესო. მგზავრები ტყვეთ წაიყვანეს.

## ზღვაზე ბრძოლა.

**ნანრობა.** (აღმოსავლეთ აფრიკა) ბრიტანეთის გემმა „კავირენგომ" 6 სეკტემბერს წყალში დაძირა გერმანიის ორი გემი. გერმანიის გემი „მუაიზა" თავს დაესხა ბრიტანეთის გემს „ფინებრედს". კარურგუს ყურეს შესავალში გემი წავიდა, მაგრამ შემდეგ ისევ დაბრუნდა, ორივე გემმა კარუნგუ ისე დაიკავეს, რომ წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

## ზღვაზე ბრძოლა.

**ლონდონი.** 8 ეკენისთვე. საადმირალო იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო გემი, „პეგასუს"-მა, რომელიც ზანზიბარის ნაპირებთან ცურავდა, დაღუპა გერმანელების კანონერკა „კევე". მეორე დილით, როცა „პეგასუსი" გაჩერებული იყო და ქვაბებს სწმენდდა უეცრათ გერმანიის კრეისერმა „კენისბერგმა" იერიში მიიტანა. მოულოდნელ თავდასხმის დროს ინგლისელებს მოუკლეს 25 კაცი და 30 დაუჭრეს. „პეგასუს"-ი წყობიდან გამოიყვანეს. ბენგალის სრუტეში გერმანიის კრეისერმა „ემდენ"-მა დააკავა ინგლისელების ექვსი სავაჭრო გემი, 5 მათ შორის დაძირა, მეექვსე კი გაათავისუფლა და კალკუტასკენ გაგზავნა. ინგლისის დამხმარე კრეისერმა „კარმანია"-მ სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან დაძირა გერმანიის სამხედრო ორთქლმავალი გემი „კაპტრაფალგარ"-ი. მდინარეში გერმანიის გემმა „კამერუნ"-მა მოინდომა ნაღმებით დაძირვა ინგლისის კანონერკის „დუორფ"-ისა მაგრამ ვერ მოახერხა. იგი ინგლისელებმა დაატყვევეს. ორი დღის შემდეგ ამავე კანონერკის დაღუპას შეეცადა გერმანიის გემი „ნახტიგალი"-ი, მაგრამ თვითონ დაზიანდა და დაიძირა. ინგლისის გემებმა დაღუპეს გერმანელების ორი ბარკასი (გემი, როლითაც მძიმე ტვირთი გადააქვთ) და, რომელიც ასაფეთქებელი მასალით იყო დატვირთული. წყობიდან გამოყვანილი „პეგასუს"-ი ინგლისელების ძველი სამხედრო გემია".

## პრაგის დაჭერა.

**ცეტინიე.** 7 ეკენისთვე. ჩერნოგორელებმა გუშინ სარაევოს 20 კილომეტრის მოშორებით პრაგა დაიკავეს.

## ბრძოლის ველზე.

**პარიზი.** 7 ეკენისთვე. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ საღამოს 11 საათზე, ენის ჩრდილოეთით სუასონთან ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთაზე მტერმა ძლიერი კონტრიერიში მოიტანა. ჩვენ იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია და ძველ პოზიციებზე გავმაგრებულიყავით. უაზის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი შეტევა გრძელდება. რეიმსის ჩრდილოეთით, მიუხედავათ მტრის თავგანწირული ბრძოლისა, ჩვენ ყველა იერიში მოვიგერიეთ. რეიმსის აღმოსავლეთით ცენტრში ჩვენ წინ წავიწიეთ. არგონში მდგომარეობა უცვლელია. უკანასკნელ დღეებში მოსულმა დიდმა წვიმებმა იმდენათ გააფუჭა ნიადაგი და გზები მავნოში, რომ ჩვენი ჯარის მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

## რეიმს ზარბაზნებს უშენენ.

8 ეკენისთვეს გერმანიის არტილერიამ განაგრძო რეიმსზე ზარბაზნების დაშენა. საკრებულო ტაძარს რამდენიმე კედელი ღა დარჩა დაუნგრეველი. მუზეუმის, სუპრეფექტურისა, გოსპიტლისა და ამ შენობათა ახლო მდებარე სახლების ნაწი-

ლი სრულიად განადგურებულია. გერმანიის არტილერია განზრახ ანგრევს ქალაქის უმთავრეს შენობებს. მოკლულია რამდენიმე მცხოვრები რეიმსისა, მათ შორის ქალაქის თავის ამხანაგი.

### დაჭრილები რეიმსის ტაძარში.

**ბორდო.** 8 ეკენისთვე. რეიმსის საკრებულო ტაძარში, სწორეთ იმ დროს, როცა მას ზარბაზნებს უშენდენ, ბევრი დაჭრილი იყო. ეს დაჭრილები გერმანელებისაგან იყვენ დატოვებული.

### უელსის პრინცის თხოვნა.

**ლონდონი.** 7 ეკენისთვე. ბექდვითი ბიურო იტყობინება, რომ უელსის პრინცის თხოვნა—მონაწილეობა მიეღო თავისი ბატალიონით ბრძოლაში—კიტჩენერმა არ შეიწყნარა, რადგანაც მას სამხედრო განათლება არ აქვს დასრულებული.

### 26 აგვისტოს მომხდარი ბრძოლის დაწვრილებითი ოფიციალური ცნობა.

**კიევი.** 7 ეკენისთვე. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი ოფიციალურათ იუწყება, რომ სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ჯარმა 26 აგვისტოს მტერი ძლიერი პოზიციებიდან განდევნა. ავსტრიელებისა და გერმანელების კორპუსებმა გენერალ ვოიერშას ხელმძღვანელობით სამხრეთისაკენ დაიწია. ჩვენმა მარჯვენა ფრთამ ხელში ჩაიგდო 6 გაუბიცა და 6 სუბუქი ზარბაზანი; ცენტრმა რამდენიმე ზარბაზანი, 1000 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი ტყვე, რომელთა შორისაც 15 აფიცერია. მარცხენა ფრთამ ხელში ჩაიგდო ორი სამთო ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველები, 25 აფიცერი, 2000 ჯარის კაცი 26-სა და 27 აგვისტოს ბრძოლა გაგძელდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ კიდევ 30 აფიცერი და 500 ჯარისკაცი. სამთო ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები ხელში ჩავიგდეთ. მტრის მარცხენა ფრთამ ვერ მოასწრო მოგროვება და 27 აგვისტოს განაგრძო უკან დახევა სამხრეთისაკენ. მტრის ცენტრის მარჯვენა ფრთა ჩასაფრდა წინასწარ მომზადებულ თხრილებში და მაღლობებიდან გაგვიწია წინააღმდეგობა. 27 აგვისტოს აქ გაჩაღდა საშინელი ბრძოლა, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა. საღამოთი ავსტრიელებმა უკან დაიხიეს და დიდი ზარალიც ნახეს. უკან დახევის დროს მტერი მცირე წინააღმდეგობას გვიწევდა, რათა შეეჩერებია ჩვენი დევნა, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ყოველთვის ჩვენი შეტევა უკან აქცევდა ხოლმე მათ. ამნაირათ ჩვენ მტრის უმთავრესი ძალა დავსძარით გამაგრებული პოზიციებიდან. 29-სა და 30 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა უკან დევნა განაგრძო, გადავიდენ სახელმწიფოს საზღვარს და ამ მომენტიდან ავსტრიელების ყველა ფრონტზე ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე ხდება. მდინარე სანზე გადასვლის დაფარვის საჭიროებამ აიძულა ავსტრიელები გაეწიათ წინააღმდეგობა და შევეჩერებიეთ ჩვენ ამ მდინარესთან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი ცდა უშედეგოთ დარჩა. საყურადღებო ამბავი მოხდა სოფელ ლიპასთან: კოლონის მოწინავე ნაწილს, რომელიც ამ სოფელზე მიდიოდა იერიშით, სოფლის ტყის დასავლეთის ნაწილში, სროლა აუტეხეს. მოწინავე ჯარი გაიშალა და გაჩაღდა ბრძოლა. ავსტრიელები ცდილობდენ შემოევლოთ ჩვენი მარჯვენა ფრთისათვის, მაგრამ მათ ამ დროს თავდაესხა კოლონის ნაწილი, რომელიც დროზე იყო გაგზავნილი მისაშველებლათ. მიუხედავათ მედგარი წინააღმდეგობისა, ავსტრიელები დამარცხდენ და უწესრიგოთ უკან დაიხიეს აღმოსავლეთისაკენ, ვინაიდან სწორი გზა უკვე მოჭრილი იყო ჩვენი ცხენოსანი ჯარისაგან. ნაწილი ავსტრიელების ჯარის სულ ამოწყდა, ნაწილი მოვამწყდიეთ ჭაობებში, სადაც დაიხჩვენ. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელმაც ისარგებლა ღამის სიბნელით გავიდა მდინარე სანზე და თავს უშველა. აქ ხელში ჩავიგდეთ 20 ტყვიის მფრქვეველი. ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთამ ამავე დღეს მიაღწია მდინარე სანამდი და 31 აგვისტოს მდინარის ერთი ფონი უბრძოლველათ ხელში ჩაიგდო. შემდეგ კი ცენტრი და მარცხენა ფრთა მივიდა მდინარემდი და შეუდგენ გადასვლის თადარიგს. მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა წინ წაიწია სამხრეთისაკენ და მივიდა სანდო მირამდი. საყურადღებოა ჩვენი ჯარის მოქმედების საშუალებანი, რომელსაც ხმარობს ბრძოლის დროს. პირველი ქვევითი ჯარი კარგათ სარგებლობს სრულებით დაფარული პოზიციებით, ფართოთა და ხელოვნურათ სარგებლობს ადგილმდებარეობით და მოხერხებულათ იყენებს მას ჯვარადინათ სროლის დროს; მაგ., მაღლობი ადგილი, რომელიც კარტის ჩვენებით, უნდა ჩათვლილიყო მოსაგერებელ ადგილათ, არ იყო დაჭერილი, მაგრამ როდესაც ერთ ამნაირ ადგილს მტრის ჯარი შემოვიდა, ჩვენი ჯარის მხრიდან ჯვარადინ ცეცხლ შუა ჩავარდა. მეორე—საუცხოვოთ ხმარობენ ტყვიის მფრქვევლებს, მესამე იერიშის მიტანის დროს მოხერხებულათ ხმარობენ შტიკებს; მეოთხე—ცხენოსანი ჯარის მიერ ფართო და მოხერხებული სასროლი იარაღის ხმარება და დაზვერვით კარგათ მოწყობა მეხუთე არტილერიისაგან სრულებით გაშლილი პოზიციების გამოყენება და დასათვალიერებელი ადგილების ამორჩევა და პირველი როლები ამტკიცებს, რომ ჩვენი ჯარი კარგათ გაწვრთნილია სამხედრო საქმეში.

## კერძო დეპეშები.

### ლონდონი.

ლონტეონთან გერმანელი ჯარები შეეტაკნენ მოკავშირეთა ჯარებს. გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ. სუასსანთან გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. გაჩაღებულია ბრძოლა აგრეთვე ეპინალთან.

### ბელგრადი.

სერბიელებმა დაიჭირეს ბუკოვარი.

### ბუქარესტი.

კაროლის სასახლის წინ გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელიც მოითხოვდა ავსტრიისათვის დაუყონებლივ ომის გამოცხადებას. დემონსტრანტები ჯარებმა გაფანტეს.

### ა დ ე ს ა.

რუმინიის გზით ხელახლათ გაუშვეს მატარებლები ოსმალეთში, დატვირთული ტყვიისმფრქვეველებით, ზარბაზნებითა და სხვა სამხედრო იარაღებით.

### ლონდონი.

არავიაში დაიწყო აჯანყება. ადგილობრივმა შეიხებმა ოსმალეთის ჯარები დაამარცხეს და იემენსაც ემუქრებიან.

### ა დ ე ს ა.

ოსმალეთში ქურთების მობილიზაცია ვერ ხერხდება. ქურთები ომში წასვლაზე უარს აცხადებენ. ზოგ ადგილებში ოსმალებსა და სომხების შორის შეტაკება მოხდა, უკანასკნელთ ბრალს სდებენ ეროვნულ მისწრაფებათა ნაკლში. ბიტლისში ქურთები აჯანყდნენ.

### პეტროგრადი.

გალიციაში გაგზავნეს რუსი მოხელეები სხვადასხვა თანამდებობის შესასრულებლათ. საჭიროა მათ იცოდნენ პოლონური ენაც.

## უკანასკნელი ცნობები.

ეროვნული გრძნობით ამოძრავებულმა ინგლისის საზოგადოების მანდილოსნებმა გადასწყვიტეს არ იგლოვონ ომში დახოცილი ნათესავები, რათა ამით საერთო აღფრთოვანება არ ჩაკლან.

### ოსმალეთში.

კონსტანტინეპოლში გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც დაესწრენ მინისტრები, სენატორები, დეპუტატები და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წევრები. წარმოითქვა სიტყვები. ხალხმა არ უნდა დაივიწყოს, სთქვა, სხვათა შორის, ენვერ-ბეიმ, რომ, თუ მან მიაწლია უიარაღოთ კაპიტულიაციის შეცვლას, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სახელმწიფოები ხელახლათ აგვიძულებენ მივიღოთ კაპიტულიაცია. მაშინ ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ. კაპიტულიაციის შესახებ უფრო მოხერხებულათ კითხვის გადაჭრას, სთქვა დჟემალმა, უნდა ვუმადლოთ არა მარტო კაბინეტს, არამედ მთელს ერს, რომელმაც არაფერი დაიშურა, ოღონდ დასახულ მიზნისთვის მიეღწივნა. თალაათბეიმ სთქვა:

— ჩვენ ვერაფერი ვერ შეგვაშინებს, ვიდრე ხალხის ნდობით ვსარგებლობთო.

### გალიციაში.

ბერლინის გაზეთების ცნობით, ლვოვიდან გამოსვლის წინ ავსტრიის სამხედრო ძალებმა დაიჭირეს ბევრი რუსი პოლიტიკური მოღვაწენი და დახვრიტეს. მათ აბრალებდნენ სახელმწიფოს მოღალატეობას.

---

## თანამედროვე წერილები.

II.

კაცობრიობის ისტორია ციკლებად არის დაყოფილი. იყო ციკლი ჰელლინურ კულტურისა, ციკლი რომაულ ბატონობის და სხვა. ბატონობა რომელიმე ციკლისა მუდამ ამა თუ იმ სულის ბატონობას ნიშნავდა. ხალხის სული ხორცს ისხავდა და რომელიმე კულტის სანახაობით ამორჩილებდა გარემოს. არარაობისა და მანამდე უხილავ, პოტენციალურ ძალისაგან. სასტიკ ბრძოლაში ბუნებასთან და ადამიანებთან, მილიტარიზმისა, რელიგიისა და კულტურის დახმარებით იგი დიდ ძალად იქმნებოდა და მახვილით იმორჩილებდა ყველაფერს. დიდი ერები მუდამ მსოფლიო ბატონობისკენ ილტვოდნენ და ამის მისაღწევათ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. განა მომხიბლავი ზღაპარი არ არის ისტორია საბერძნეთისა და სპარსეთის ბრძოლისა? ეს ისტორია მომხიბლავია არა მარტო მაშინ, როცა ამ ორი ერისა, ორი ქვეყნის საგმირო ამბებს მოგვითხრობს, იგი ლამაზია მაშინაც, როდესაც იმ დროინდელ დესპოტიურ ამბებს გადმოგვცემს. რით არ არის მომხიბლავი, თუ გინდ ის სურათი, რომელიც კიროსის ჯარებისგან ზღვის გაწკეპლას გვიხატავს. ბრძოლა მუდამ ბრძოლაა და კაცის თვალშიც ფასი მხოლოდ იდეას აქვს. ზღვის გაწკეპლის იდეა კი სავსებით შეეფერებოდა მაშინდელ სპარსეთის სულს—რომლის სახელი დესპოტიზმი იყო.

მაგრამ ეს ცვლილებები, როგორც ციკლი მშვენიერ ჰელლინურ კულტურისა, აგრეთვე სპარსულ დესპოტიზმისა დაიღუპნენ. ერები და სახელმწიფონი იღუპებიან ისეთ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგაც, როგორიც იყო მარათონის ბრძოლა და ისეთ ჯიუტ თავგანწირულების შემდეგაც, როგორც იყო კიროსის ჯარებისაგან ზღვის გაწკეპლა. როგორც რომ მთა თავის მაღალ მწვერვალს აღწევს და თავდება ე. ი. იღუპება, რადგანაც შემდეგ სიცალიერე და ჰაერი იწყება, ისე ერებიც თავის უმაღლეს სიძლიერეს აღწევენ და მერე იხრწნებიან. ამ მხრივ სახელმწიფონი და ერები გასაოცრათ გვანან ხის უბრალო ნაყოფს, რომლის სიმკვახეს სიმწიფე მოსდევს და სიმწიფეს სიდამპლე. დამპალი ვაშლი—აი, ემბლემა მთელის ჩვენის ცხოვრებისა. შიში ასეთ შედარების წინაშე ამაოა!

რას ებრძვიან ევროპის თანამედროვე ერები? არის თუ არა ეს ომი ორი ციკლის ბრძოლა, რომელთაგან ერთი უსათუოდ უნდა დაიღუპოს? წარმოსადგენათაც კი ძნელია, რომ მოკავშირეებმა გაიმარჯვონ და გერმანიის უნივერსიტეტები დაანგრიონ, გერმანული ფილიანტები დასწვან, გერმანელი პროფესორები ტყვეთ წაიყვანონ და მადაგასკარზედ, ურალზე, ან აფრიკის კოლონიებში ამუშაონ, წარმოუდგენელია აგრეთვე ისიც, მიუხედავათ იმ სისასტიკისა, რომელსაც აწერენ გაზეთები გერმანელებს, რომ მათ პასტერის ლაბორატორიაში თავისი ცხენები დააბან და შამპანის დეპარტამენტში ვაზი აჰკაფონ, რომ ამ ცხენებისთვის შვრია სთესონ. ჯერ კიდევ გიტე ამბობ და თავის ფაუსტში: Ein echter Deutcher Mann mag keinen Franken leiden, doch Ihre Weine trinkt er gern—გერმანელს შეიძლება ფრანგი არ უყვარდეს, მაგრამ მათ ღვინოს სიამოვნებით სვამსო. და განა მარტო ღვინოს? მოიგონეთ „ახალგაზდა გერმანია“, რომლის წევრებისთვის პარიზი იმ ფრანგულ ღვინოს ქვევრი იყო, რომელსაც ხარბად დასწაფეაოდენ. ამ „ღვინოს“ ძირამდის სვამდნენ და ყოველივე ფრანგულის ლოთები იყვნენ, რისთვისაც გერმანელ რეაქციონერების რისხვაც კი დაიმსახურეს.

მაგრამ რაც დღეს არ არის, შეიძლება ის ხვალ მოხდეს და ევროპის ომი გერმანულ და სლავიანთა კულტურის ბრძოლათ იქცეს. რაც უფრო დრო გადის, იმპერატორ ვილჰელმის სიტყვებში მეტი მისტიციზმი გამოსჭვივის, რომელმაც შესაძლებელია მთელი გერმანელობა მოიცვას. ამ სიტყვებში ღმერთი, რომელიც აქამდის ყველას ინტერნაციონალურ ცნებათ მიაჩნდა, უცბათ გაგერმანელდა და ომიც თითქმის ამ გერმანულ ღმერთისთვის სწარმოებს. ეს ჩვენთვის სასაცილოა, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სასაცილო იდეის განვითარება ისევე ადვილია, როგორც საპნიდან დიდი ქაფის შექმნა. თავის დროზე იგი დაიფუქება, მაგრამ მანამდის ის დროსაც დაიკავებს და ადგილსა.

ა—ი.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### გამორიცხვა რუსის შკოლებიდან ავტრიის და გერმანიის მოწაფეთა.

მოსკოვის საშუალო სასწავლებლიდან ითხოვენ გერმანიის და ავსტრიის ყველა ქვეშევრდომ მოწაფეებს ზოგს ქალების გიმნაზიიდან და რეალურ სასწავლებლიდან თითქმის ერთი მესამედი გამორიცხეს. უმაღლეს სასწავლებლიდანაც ასზე მეტი დაითხოვეს.

### გერმანია ზავის შესახებ.

გერმანიის ელჩი ვაშინგტონში შეეკითხა გარეშე საქმეთა სტატს სეკრეტარს, რა პირობებით შეგიძლიათ ზავზე მოლაპარაკება დაიწყოთო.

სტატს-სეკრეტარმა ბრაინმა კითხა ელჩს: თქვენის თაოსნობით იწყებთ ამ საქმეს თუ გერმანიის იმპერატორის მინდობილობითო. ამის შესახებ პეტროგრადის დიპლომატიურ სფეროებს ცნობა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორი პასუხი მისცა გერმანიის ელჩმა ბრაინს. იგი უპასუხებს: მართალია პირველათ საქმე ჩემის თაოსნობით დავიწყე მაგრამ ეხლა შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემს აზრს მთავრობაც იზიარებსო.

ამის გამო მცოდნე პირები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა ერთის მხრივ სცნობს ავსტრო-ვენგრიის დამარცხებას მაგრამ მისი აზრით ეს დამარცხება ბათილდება გერმანიის მდგომარეობით აღმოსავლეთ-პრუსიასა და საფრანგეთში.

შეერთებული შტაბის მთავრობამ უპასუხა რომ პრეზიდენტი ვილსონი მოლაპარაკებას დაიწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ამის სურვილს განაცხადებენ სამთა შეთანხმების სახელმწიფოებიო. იტყობინებიან, რომ ამის შემდეგ ვილსონმა შეიტყო, თუ როგორი აზრის არიან საკითხის შესახებ საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი. სამივე სახელმწიფომ ერთხმათ უარყვეს ეს წინადადება და განაცხადეს, რომ ჯერ ზავზე მოლაპარაკების დრო არ დამდგარაო. ამის გამო ბრაინმა აცნობა გერმანიის ელჩს, რომ სამწუხაროთ ჯერჯერობით შეერთებული შტატები შუამდგომლობას ვერ იკისრებენო.

### კავკასია დაჭრილთათვის.

კავკასიის მადლიანი სამკურნალო ადგილები მშვენივრათ შეიძლება გამოყენებულ იქმნან დაჭრილთა მოსარჩენათ. რასაკვირველია დაჭრილთა დამხმარე ორგანიზაციებმა კიდეც მიაქციეს ყურადღება ამ ადგილებს. კავკასიაში უკვე წავიდა სრულიად რუსეთის საერობო კავშირის წარმომადგენელი სახელმწ. სათათბ. წევრი ლვოვი. ალბათ საერობო კავშირის მაგალითს სხვა ორგანიზაციებიც მიბაძავენ, მოაწყობენ მრავალ საავათმყოფოებს. („უტრო როს.“).

### მოსკოვის სამხატვრო თეატრის ლაზარეთი.

მოსკოვის სამხატვრო თეატრმა თავის ხარჯით მოაწყო ლაზარეთი. ლაზარეთის გახსნისას გადიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრო თეატრის მთელი დასი, მოსკოვის გრადონაჩალნიკის თანაშემწე, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი. ჯერ ლაზარეთში 20 საწოლია ექვსი დაჭრილი კიდეც წევს. პარაკლისის შემდეგ მსახიობმა ქალებმა ჩაიცვეს სათნოების დების ტანსაცმელი და შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას.

### პარიზის ალყის გეგმა.

უკან დახევის დროს ერთმა ნემცის კორპუსის შტაბმა დაკარგა გეგმა პარიზის ალყისა, რომელიც ფრანგებმა ჩაიგდეს ხელში ამის გამო იგონებენ რომ 1870 წელსაც ერთმა ფრანგმა ინჟინერმა ვერსალში მოსტაცა გენერალურ შტაბის აფიცერს მოლტკეს შედგენილი პარიზის ალყის გეგმა.

### გერმანელები წასვლის შემდეგ.

ჩრდილო-საფრანგეთის ქალაქებში გერმანელებმა ძლიერ მცირე ხანი დაჰყვეს. ქალაქი ლილი სრულიადაც არ დაზიანებულა. გერმანელებმა იქიდან წაიღეს მხოლოდ ფქვილი, ღვინო, სიგარები, თუთუნი და ათასი ყუთი შამპანიური დანარჩენი შამპანური ისეთ ადგილს შეენახათ, რომ ვერ აღმოაჩინეს. გიზი გერმანელებმა ორ სექტემბერს დაიჭირეს, ხუთ სექტემბერს კი ისევ მოკავშირენი შევიდენ შიგ.

კომპიენი დაუზიანებული დარჩა, მის ვარშემო მდებარე ტყეებს არ ვნებიათ რა.

## ოსმალეთი.

ოსმალეთი ერზერუმში დიდძალ ჯარს გზავნის, ურმიიდან თითქმის სულ გაიყვანეს რეგულიარული ჯარები. მათი ადგილი ჟანდარმებსა და ახლათ შედგენილ პოლკებს უკავიათ, რომელიც ძველი სისტემის თოფები აქვთ.

**ოდესა.** კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ იქ მოვიდა გერმანიის გემი, რომელზედაც ოსმალებმა თავისი ბაირაღი აამართეს [მოაწყვეს იგი პროჟექტორს და ნახშირის გადასაზიდავად [illegible] ფლოტისათვის.

**ოდესა.** ცნობა ენვერ-ფაშის მოკვლის შესახებ ყალბი გამოდგა.

### ოსმალეთის განზრახვანი.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან რირველ ოკტომბერს ოსმალეთი უეცრათ დაკეტავს სრუტეს და მოითხოვს სამთა შეთანხმებისა სახელმწიფოებიდან ეგეის კუნძულების დაბრუნებას ამ დროისთვის უნდა ველოდეთ სერიოზულ საერთაშორისო კონფლიქტს თუ ოსმალეთში რევოლიუცია არ მოხდა.

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან იტყობინებიან: მიუხედავათ ცენზურის სისასტიკისა გერმანიაში შვეიცარიიდან გაიგეს გერმანელების ჯარების მარცხი, რამაც მცხოვრები ძლიერ შეაშინა. ისინი მოითხოვენ გაზეთებისაგან სწორი ცნობების მიწოდებას. მიუნხენში ჩივიან თუ კი საფრანგეთში გვირტყამენ რუსები ხომ მეტსაც გვიზმენო.

---

## გაზეთ „უტრო როსიის“ აზრი ავსტრიელების დამარცხებაზე.

გაზეთ „უტრო როსიაში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი: როგორც ლონდონიდან გვატყობინებენ ინგლისის სამხედრო სფერებში იმ აზრისანი არიან, რომ რუსის ჯარების გალიციის ფრონტზე გამარჯვება ავსტრო-ვენგრიის ჯარების დაღუპვის მომასწავებელიაო. ავსტრიაო, ამბობენ იქ, უკვე აღარ არსებობს როგორც დიდი სახელმწიფო. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ინგლისელი მეგობრები ძლიერ აჩქარებულან. ასეთი განცხადება ძლიერ ნაადრევია. მართალია, გამარჯვება, რომელიც უნდა გამოვტყდეთ ძვირათ დაგვიჯდა, დიდია, მაგრამ ავსტრიის ჯარები ჯერ კიდევ მთლიანათ არსებობენ. ჩვენი მხოლოდ ომის პირველი სტადია დავასრულეთ. ამ სტადიის რუსის სამხედრო მკვლევარნი უწოდებენ: ავსტრიის შეტევა ლიუბლინთან ხოლმისაკენ და მისი მოსალოდნელი დამარცხება (იხ. პოლკ. ქრისტიანის გამოკვლევა, „ავსტრო-ვენგრიის მოწინავე თეატრი“, სამხედრო გეოგრაფია გისერისა და მარკოვის). ამ ომის ყველა მოვლენები ჩვენ მოწინააღმდეგის ნებაზე დამყარებული, თავიდანვე გათვალისწინებული და ნაანგარიშევი იყო. ამიტომ რაც მოხდა მოსალოდნელი იყო. აქ მოულოდნელი მხოლოდ რუსის ჯარის მიერ გმირობის გამოჩენა და ომში აუცილებელი შეცდომები იყო მხოლოდ ჩვენის მხრით. ამრიგათ ამ მოსალოდნელი ავსტრიის შემოტევის უკუქცევა ფაქტათ გადაიქცა. ახლა ომის მეორე სტადია იწყება და იწყება იქიდან, რითაც პირველი დასრულდა. ავსტრიის ჯარებმა თავის საოპერაციო ადგილისაკენ დაიხიეს. ეს ადგილებია: კრაკოვი, ტარნოვი, პერემიშლი იაროსლავითურთ.

რაც უნდა დამარცხებული იყვენ ჩვენგან მტრის ჯარები, რაც უნდა დასუსტებულიყვენ ისინი ჯერ ჩვენზე შემოტევით და მერე უკან დახევით, ჯერ მაინც შეუძლია წინააღმდეგობა გაგვიწიოს.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ იგი წინააღმდეგობას გაგვიწევს თავის სამშობლოში, შინ ისეთ ადგილებში, რომელსაც ომისთვის ამზადებდენ საუკეთესო ინჟინრები ოცი წლის განმავლობაში, სადაც პირველხარისხოვანი სიმაგრეები კრაკოვი და პერემიშლია. იქვე უზარმაზარი პროვიანტის საწყობები, რომელნიც ჯარების გამოკვებას უზრუნველყოფენ. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ იმ ახალ ომის ასპარეზზე მართლა გადასწყდება ავსტრიის ბედი და ამიტომ მისი ჯარები სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეგვებრძოლებიან. მაშ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, მიუხედავათ დაღლისა და დასუსტებისა ისინი ძლიერ წინააღმდეგობას გაგვიწევენ.

---

## მოსალოდნელი გადამწყვეტი ბრძოლა კრაკოვთან.

აღმოსავლეთ პრუსიის საომარ ასპარეზიდან ცნობები მოდის რომ იქ უკანასკნელ დღეებში შეტაკებები არ მომხდარა ეს ცნობები გვაფიქრებიებს რომ, გერმანელებს იქ დან გადაყავთ ჯარები ავსტრიის ფრონტზე, რომ იხსნან დაღუპვისაგან ავსტრიის ჯარები. ამ რიგათ

— სავაჭრო სახლი —

## ი. გოკიელის შვ-ბის

ქუთაისში.

**ამით აუწყებს მოსწავლე-ახალგაზრდობას** რომ მათ მაღაზი-აში მიღებულია **დიდი ასორტიმენტი**

აუცილებელი საწერი, სახატავი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი ფასები ხელმისაწვდომია. თანახმად კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის წინადადებისა, ჩვენ მიერ გამოცემულ დღიურებზე მოთავსებულია დარიგებანი თუ როგორ შეიძლება თავის დაღწევა (მალერიისაგან) ციებისაგან, მოვლა და წამლობა.

**ხელახლად ჩვენ-მიერ გამოცემულია** დღიურები მოწაფეთათვის, რომლებიც სავსებით მოწაფეთა მოთხოვნილებაზეა შეთანხმებული. დღიურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მიუხედავათ ამისა ფასები დატოვებულია წარსული წლის.


ჯარებს თავს უყრიან პრუსიის სილეზიის რაიონში, სამხრეთით ბრეს ლავლიდან კრაკოვისაკენ სადაც ავსტრიელებს უნდა შეუერთდენ. რადგან ნემცებს საფრანგეთიდან აღმოსავლეთ პრუსიაში ჯარების გადმოსაყვანათ 11 დღე დასჭირდათ, თუ ვიანგარიშებთ, რომ დღეში თითო კორპუსის მეტს ვერ გადმოიყვანდენ. გადმოყვანილი ჯარის რაოდენობა 11 კორპუსს უნდა უდრიდეს ამას გარდა 5 სამხედრო და 5 სათადარიგო კორპუსი წინათაც ყავდათ ასე რომ აღმოსავლეთის საზღვარზე გერმანელებს 21 კორპუსი რვაას ათას ჯარის კაცზე მეტი შეაგროვეს. უკანასკნელ ცნობების მიხედვით იქ შეტაკებები აღარ ხდება და ეს გვაფიქრებიებს რომ იქ დარჩა რამოდენიმე კორპუსი მოსაგერებლათ ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი კი ავსტრიის საზღვრისაკენ მიემართება. ამ რიგათ ავსტრიის საზღვარზე გადაწყვეტილია მილიონ ნახევრიან ჯარს მოუყარონ თავი. მაგრამ სანამ კრაკოვის რაიონში თავს შეიყრიდენ ავსტრიელები როგორმე უნდა მივიდენ იქამდე, ამ ჟამათ დანკლისა და აუნფენბერგის ჯარებს ასე თუ ისე საშვალება აქვთ კრაკოვისკენ დახევის. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშია და ნარჩენი ორი ჯარი ყოფილი ლვოვისა და ერც გერცოგ იოსებ ფერდინანდი'. ამ ჯარებმა უნდა განვლოს დიდი გზა სანამ კრაკოვამდე მივიდოდნენ ხოლო საფრთხე იმაშია რომ მარცხნით ჩვენი ხოლმისა და ლიუბლინის ჯარები მოექცენ მარჯვნივ კარპატის მთებია და ვიწრო გზაზე უნდა გაგრძელებულ კალონებათ უნდა იარონ ვიდრე ორი ჯარი კრაკოვის რაიონს არ მიაღწევს ამ რიგათ სანამ ისინი თავს კრაკოვის ახლოს მოიყრიდენ, ბრძოლა სამხრეთ გალიციის რაიონში შეიძლება მოხდეს და ისედაც დასუსტებული ავსტრიელები კიდევ უფრო დაასუსტონ.

აქედან სჩანს რომ მთავარი გადამწყვეტი ომი კრაკოვისა და პრუსიის ბრესლავის რაიონებში მოხდება.

# ქუთაისი

## ახალი ამბავი.

— სილოვანის თხზულებათა პირველი ნაწილი, **ლექსები**, უკვე დაიბეჭდა, მაგრამ ცენზურის მიზეზით შეჩერებულია და ამ მოკლე ხანში გამოვა გასაყიდათ.

✦ ქუთ. ქართ. დრ. საზოგადოების გამგეობა იწვევს მომავალი სეზონისათვის თანამშრომელთ ქალებსა და ვაჟებს. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათ. ქართულ თეატრში რეჟის. ვ. შალიკაშვილთან.

✦ **აკაკი.** ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება.

✦ გუშინ, ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ მომავალი სეზონისათვის თავისს დასს თეატრი ჩააბარა. სეზონი 18 სექტემბერს გაიხსნება. პიესა—ლალატით. დასი რეპეტიციებს უკვე შეუდგა.

✦ სახელმწიფო ხაზინამ ქალაქის გამგეობას, ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ, ავანსათ 5,500 მანათი გადასცა.

✦ გუშინ ქუთ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლა დაიწყო. სწავლის დაწყების წინ, მოწაფეებისა მასწავლებლებისა და მშობლების თანდასწრებით სჯულის მასწავლებელმა დეკ. ი. აბესაძემ გიმნაზიის ეზოში პარაკლისი გადაიხადა მანვე მოწაფეებს დარიგება მისცა.

✦ 8 სექტემბერს. ღვთის მშობლობას. გელათისაკენ დიდ ძალი ხალხი წავიდა. მაგრამ მათ ხელს უშლიდა მატარებელთა მიმოსვლის სიმცირე. წყალწითელაზე უხიდობის გამო, მონასტრამდის მისვლა ძნელი ხდებოდა. მლოცველები წყალში ფეხით გადიოდენ, რითაც დიდ გაჭირვებას განიცდიდენ კარგს იზამს ვ სიც ჯერ არს ხსენებულ ალაგას ხიდის გაკეთებას დააჩქარებდეს.

✦ როგორც დ. ჭიათურიდან გვწერენ მოძრაობა ერთიანათ შეჩერდა. ქარხნებში მუშაობა შეწყდა და მუშებიც თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. მთელი კუთხის მცხოვრებლები, რომელნიც შავი ქვის წარმოებაში მუშაობით ცხოვრობდენ დიდ გაჭირვებას განიცდიან.

✦ კვირას 7 სექტემბერს, ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ გამართულ, სეირნობას ქალაქის ბაღში, საზოგადოება საკმაოთ დაესწრო. შემოსავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

✦ გუშინწინ 8 და გუშინ 9 სექტემბერს ქალაქის გამგეობას აუარებელი ხალხი მიაწყდა, დახმარების მისაღებათ. ქალაქის გამგეობამაც თავის ხრით ყველას აკმაყოფილებს, ვისაც პოლიციიდან ვინაობის მოწმობები აქვთ.

✦ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ახალი წიგნი სტ. პ. ქავთარაძისა „ანაზოიზი". ბიბლიოთეკა „ცხოვრება და მეცნიერება".

✦ ქალაქის ხმოსნების ამომრჩევლებს, ქალაქის გამგეობაში კანდიდატების სიები უკვე შეაქვთ. სიების მიღება დღეს 3 საათამდი გაგრძელდება.

✦ 23 აგვისტოს, ბათუმის ნავსადგურიდან გაუზიდავთ 251,212 ფუთი შავი ქვა.

✦ 10 სექტემბერს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ნიკოლოზ ქველაძის, ლაზარე გაზიუნჩენკოს, ნიკოლოზ ზიურინის, იოსებ კინწურეიშვილის და ლევან დარჩელიძელის საქმეს.

✦ 11 სექტემბერს საზოგადო საკრებულოს, საზაფხულო შენობაში შესდგება, საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა.

✦ ქალაქის გამგეობას, სახელმწიფო მიწათა და ქონებათა სამმართველო სთხოვს, აცნობოს რა ღირს დღეში უბრალო მუშა, მიწის მთხრელი, ხურო, მეფეჩე და სხვა.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორას „იმერეთი" დღეიდან თფილისის გაზეთები გამოსვლის დღესვე მოუვა. კანტორას ახალს სისტემატიურათ მისდის ყველა სატახტო უფრო გავრცელებული ჟურნალ-გაზეთები და მათ შორის კიევის მეტათ გავრცელებული დიდი პროგრესიული გაზეთი „Кіевская мысль". სატახტო გაზეთებიდან ყველაზე მეტი ქუთაისშიც „Руское слово" ვრცელდება. კანტორას მისდის აგრეთვე რუსეთიდან და თფილისიდან დღევანდელ ომიანობის მიხედვით გამოცემული ბევრნაირი კარტები.

კანტორაში გრძელდება ხელის მოწერა ივანე მაჩაბლის, ნინოშვილის და ჯ. ჯორჯიკიას თხზულებებზე, რასაც იგი ხელახლა ახსენებს ხელის მომწერლებს.

### ივანე მაჩაბლის სურათი კანტორა „იმერეთში".

ივ. მაჩაბლის თხზულებათა გამოცემის გამო ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი"-ს გამგეს ქართველ მოსწავლე მხატვრობის მოყვარულ ა. ციცქიშვილისათვის შეუკვეთია მისი დიდი (18×16) სურათი, რომელიც მოსწავლეს სოფელში უკვე დაუხატავს და კანტორაში არის გამოფენილი. აქვე აწყვია მისგანვე ტუშით, ყარანდაშით დახატული ჩვენი მწერლების სურათებიც: ილიასი, აკაკის, ნინოშვილის, ბარათაშვილისა და სხვების.

ახალგაზრდა მხატვარი ბელაგორელია. იგი დღესდღეობით ხაშურის პროგიმნაზიაში სწავლობს (მეექვსე კლასშია), საიდანაც მას უნდა სწავლა განაგრძოს ჯერ რუსეთში და მერე საზღვარგარეთ, იტალიაში წავიდეს თავის ნიჭის გასავითარებლათ. იგი ხელმოკლე სემინარიელ სოფლის მასწავლებლის (ბესარიონ ციცქიშვილის შვილია) და მამაც მონდომილია შვილის ნიჭს გზა გაუხსნას. მხოლოდ ნივთიერი უსახსრობა წინ ეღობება ახალგაზრდას, რათა თავის საწადელს მიაღწიოს.

კარგი იქნება მას ყურადღებას მიაპყრობდეს მოსწავლე ახალგაზრდათა დამხმარე ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი და დიპლომსა, პროტექციებს და კენჭისყრის გარეშე დააყენებდენ რომელიმე საჭირო დარგში ნიჭიერების გამომჩენ ახალგაზრდებს და ყველას ერთხელ შემოღებულ მასშტაბით არ გაზომავდენ. ყველამ კარგათ ვიცით, რომ ამგვარ საზომით საზოგადო ფულით გამოზდილ ახალგაზრდებიდან 80 პროც. იზრდება არა თავის ქვეყნის სასარგებლო მოხელეებათ... ამიტომ დროა ამ საკითხს ჩაუკვირდეთ და საზოგადო ფულების ხარჯვა საზოგადო სარგებლიანობის თვალსაზრისით, საზომით ვარგუნოთ ნიჭიერ და ქვეყნისათვის გამოსადეგ ახალგაზდებს რა საჭირო დარგშიაც კი გამოიჩენენ ისინი ნიჭს და საზოგადო საქმეების სამსახურისუნარს...

**კლდისპირელი.**

## ჩვენც დავეხმაროთ.

(სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ).

1914 წელი საერთო უბედურების წელიწადი შეიქნა ჩვენი მშრომელ ხალხისთვის. ჯერ იყო და 1913 წლის მოუსავლობამ დიდ გაჭირვებაშიდ ჩააყენა იგინი და ბევრი შიმშილმა კიდევაც გამოასალმა ამ წუთი სოფელს. კი მართალია ამ წელს მოსავლობით დაზარალებულთ მთავრობამ დახმარების ხელი გაუწოდა, მაგრამ ეს დახმარება არ იყო საზოგადო, საერთო, რადგან ჩვენი სოფლის მწერლებისა თუ მამასახლისების წყალობითბევრ მისთანებს ეყო უარი დახმარებაზედ, რომელნიც, არამც თუ მოუსავლიან წელიწადში, არამედ კარგს მოსავლის დროსაც ძლივს შოინილობდენ მთელი წლის სარჩოს. წელს კი გამუდმებულმა წვიმებმა შარშანდელზე უფრო დააზიანა ყანები და ვენახები, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი რაც ნაკლებ საფრთხეს უქადის ჩვენს გლეხობას მომავალ წელიწადშიდაც.

მაგრამ ეს თითქმის არაფერია შედარებით იმ უბედურებასთან, რომელიც წელს დაატყდა ხალხს თავზედ. ეხლანდელმა ომმა გამოაცალა სოფელს ხელიდან საუკეთესო მუშა ძალები და ისიც ისეთ დროს, როდესაც მათი სარჩო ნახევრათ დაუმუშავებელი ჯერ კიდევ გარეთ იყო. ბევრ ოჯახს შეხვდებით ისეთს სადაც მამაკაცი არ მოიძებნება და მთელი ოჯახი ქალებისა და ძუძუ-მწოვარა ბავშვების ამარა დარჩენილია. ყოველივე შრომა ქალებს აწევს კისერზედ, რომელთაც რასაკვირველია, ძალა არ შესწევთ რიგიანათ შეასრულონ მამაკაცობის საქმეც და, ამ რიგათ ჩვენი სოფელი ეკონომიურად ძლიერ დაეცემა.

ამ დროს სხვა და სხვა საჭირო ნივთებმა ფასი საგრძნობლათ მოიმატა, რის გამო უპატრონოთ დარჩენილნი ოჯახები იძულებულნი არიან მოიკლონ ისეთი საჭირო საქონელი როგორც ნავთი და ბნელაშიდ ატარონ მთელი ღამეები.

ერთი სიტყვით გაჭირვება დიდია ხალხშიდ და ამიტომ საჭიროა დახმარება გარედან. ამ მიზნით, როგორც ქუთაისშიდ ისე სხვა ქალაქებში შესდგა განსაკუთრებითი კომიტეტი, რომელიც შეწირულებით, თუ სხვა სახით აგროვებს ფულს უპატრონოთ დარჩენილ ოჯახების დასახმარებლათ.

ამ კომიტეტის მიზანი წმინდაა და ყოველივე ადამიანი ზნეობრივათ ვალდებულია თავისი წვლილის გამოღებით დაეხმაროს მას; და კიდევაც ეხმარებიან: როგორც გაზეთებიდან სჩანს ყველა დაწესებულებაშიდ მოსამსახურეთ გადაუწყვეტიათ გადასდონ ამ კომიტეტის სასარგებლოთ ყოველდღიურათ 20 პროც. დიახ, ყველამ თანაგრძნობა გამოუცხადა ამ კომიტეტს. ვსდუმვართ მხოლოთ ჩვენ, სოფლის მასწავლებლები, რომელნიც ყველაზე უფრო განვიცდით ხალხის გაჭირვებას და რომელთაც ყველაზე უფრო უნდა შეგვტკიოდეს მათზე გული.

კი მართალია არც ჩვენი მდგომარეობაა მაინც და მაინც სანატრელი, მაგრამ ხალხის ასეთ გაჭირვების დროს, რომ მოვაკლოთ ჩვენს მცირე ჯამაგირს თუნდა ერთი პროცენტი, ჩვენ ამით იმდენი არაფელი დაგვაკლდება და გაჭირვებულ ხალხისთვის კი იგი ბევრათ ეღირება. ამიტომ მივმართავ ჩვენს სახალხო მასწავლებლებთ, ნუ ჩამორჩებიან სხვებს და თავისი მცირედის წვლილით დაეხმარონ ზემოხსენებულ კომიტეტს.

**აშოტ კუროპალატი.**

რედ.-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**


## ჭრა-კერვის და საუცხოვო ხელსაქმის

# შკოლა მიქელაძისა

## გადავიდა

თფილისის ქუჩაზე მოსიძის სახლში კანდელაკის ყოფ.

## მიიღება დაკვეთა

ქალაქის ტანისამოსებისა, საცვლებისა, და საუცხოვო ნაწარმოებისა ფასები ზომიერია.

## მინადორა დუნდუას

**ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი**

# გადავიდა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.**

ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნხნვა შეიძლება მოსალაპარაკებლად დილის 9 საათ. 2 საათამდე.

## მუშაობს
## ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების
# სამკურნალო აბანო

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სავადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალერიას) კუჭის ტკივილს, გენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სიმსივნეს და სხვ. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინები და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნაია კოდშა" ხრესილში სადგურზე მატარებლის გაჩერების ადგილიდან 150 საჟენის აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთი სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის".

## შექსპირი ქართულად!

ივანე **მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებულ იქნება. ვისთვისაც ფასის ერთად გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადათ: პირველი შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება თფილისში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში.

გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. მაჩაბლისა**

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ჩემ მიერ იხსნება მესამე ხარისხის

## სპეციალური
# სასწავლებელი

ყველა საშვალო სასწავლებლებისათვის ორივე სქესის ყმაწვილთათვის მოსამზადებლათ. (გიმნაზიისთვის, რეალურ სასწავლებლისთვის და სხვა). სასწავლებელში იქნება გაკვეთილები ფრანგულისა და ნემეცური ენების.

უცხო ენების სასწავლებლათ მოწვეული მყავს მასწავლებელი-სპეციალისტი.

ბავშები მიიღება 23 აგვისტოდან ივანოვის ქუჩაზე ჭიჭინაძის სახლში № 38.

**სწავლის ფული ყველასათვის ხელმისაწდომია.**

**ნინო გრიგოლის ასული ლაფერაშვილისა.**

## ახალი უვნებელი საშუალება „ბ ე ტ ტ ი"
რძე პირისახისთვის

**ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.**

**არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით**

ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური დაასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე.

მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სადავათი. 15—6